პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● № 230 (7291) ● ოთხშაბათი 1 დეკემბერი. 1982 წ. ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია გაიხსნება 1982 წლის 8 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 1 და 2 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ტელეფონები: 99-58-19, 93-78-07, 99-08-54 და 99-67-16.

3 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1982 წლის 8 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

შეხვედრა საჭადრაკო ოლიმპიადის გმირებთან

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა შვეიცარიაში, ქალთა X საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულ სსრ კავშირის გუნდის წევრებს — მსოფლიო ჩემპიონს მ. ჩიბურდანიძეს, დიდოსტატებს ნ. ალექსანდრიას, ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. იოსელიანს.

სახელოვან მოჭადრაკეებს მიესალმნენ: თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. ქოჩიაშვილი, ბ. ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ლ. პაიჭაძე, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ქავთარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. სილაგაძე, ჭადრაკის სასახლის დირექტორი, საერთაშორისო არბიტრი ლ. წეროძე. სახელოვან მოჭადრაკეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

შემდეგ დიდოსტატმა ქალებმა ისაუბრეს ოლიმპიადის პერიპეტიებზე, ასპარეზობის მონაწილეებზე, უპასუხეს გულშემატკივართა მრავალ შეკითხვას.

შეხვედრა, რომელიც მიჰყავდა ჭადრაკის მიმომხილველს თ. გიორგაძეს, დიდხანს ემახსოვრებათ ჭადრაკის ქომაგებს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეხვედრის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მახარაძის „მერცხალი" საქართველოს ჩემპიონია

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი ფეხბურთში. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ზესტაფონის „მეტალურგი" და მახარაძის „მერცხალი".

შეხვედრა წარიმართა მახარაძელი ფეხბურთელების უპირატესობით და დამთავრდა მათი გამარჯვებით — 3:0. ამრიგად, საქართველოს 1982 წლის ჩემპიონატში პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა მახარაძის „მერცხალმა".

● კრივი

● მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი

ბრძოლა გამწვავდა

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი კრივში ახალგაზრდებს შორის. შვიდი ქვეყნის 93 სპორტსმენი იბრძვის უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად.

პირველი დღის ორთაბრძოლებიდან აღსანიშნავია ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრის ალბერტ კაზანჯიანის (48 კგ) გამარჯვება კიროვაკანელ ლერნიკ პაპაიანთან. ალბერტმა პირველი რაუნდიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა, ხოლო მესამე რაუნდის მეორე წუთზე მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა. ა. კაზანჯიანმა შეჯიბრების მეორე დღესაც იმარჯვა. ამჯერად „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელ ვ. კასაევის დამარცხებას მან მხოლოდ ორი რაუნდი მოანდომა.

სამწუხაროდ, კაზანჯიანს მხარი ვერ აუბეს მისმა თანაგუნდელებმა. გ. სხირტლაძემ (71 კგ) ორ რაუნდში წააგო შეხვედრა ა. ემელიანოვთან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სპორტსაზოგადოება „პროფკავშირების" სახელით გამოდის. ვერაფერი გააწყო რ. შოშიაშვილმა (60 კგ) კუბელ ვ. ხუანთან. ქუთაისელმა მ. სარხუშოვმა (57 კგ) კარგად დაიწყო ორთაბრძოლა დინამოელ ს. ფროლოვთან, მაგრამ მომდევნო ორ რაუნდში დათმო ინიციატივა და ორთაბრძოლაც წააგო. მევლუდის ბედი გაიზიარა ნიკოლოზ მღებრიშვილმაც (63,5). ხრისტო ფურნიტოვთან შეხვედრა მან აქტიური შეტევებით დაიწყო. ბულგარელი მოკრივე მეორე წუთზევე ნოკდაუნში აღმოჩნდა. დარჩენილ დროში ქართველმა სპორტსმენმა ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდა. რაც შეეხება თანაგუნდელების გ. მაკეევისა და ს. გაჩეჩილაძის (51 კგ) ორთაბრძოლას, იგი პირველის გამარჯვებით დამთავრდა. გუშინდელი შეხვედრებიდან გაგვახარა საქართველოს ნაკრების წევრმა, 75 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ხინჩაგაშვილმა. მან დაძაბულ ორთაბრძოლაში იგორ შერბინინს („შრომითი რეზერვები") სძლია.

ორი დღის შეხვედრებიდან უთუოდ გამოსაყოფია კუბელი მოკრივის ა. ხორხეს (48 კგ) გამარჯვება. მან ვ. ნაიმანოვის („შრომითი რეზერვები") დამარცხებას მხოლოდ ორი წუთი მოანდომა. ასევე მცირე დროში ვ. სტრემილოვმა (63,5 კგ) აშკარა უპირატესობით (ორჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში) სძლია რუმინელ მ. ვარის.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **48 კგ.** ბ. ბურკიტბაევმა („შრომითი რეზერვები") დაამარცხა გ. რუმიანცევი („დინამო"), ა. არტემიევმა („დინამო") — გ. იანა (რუმინეთი). **54 კგ.** კ. სილიტრამ (რუმინეთი) — ა. ბოროვკოვი („დინამო"), ა. მკრტიჩიანმა — ვ. მარჩენკო (ორივე — „პროფკავშირები"). **57 კგ.** ს. გურევიჩმა („შრომითი რეზერვები") — ი. ტუპიცინი („პროფკავშირები"), ტ. ილიევმა (ბულგარეთი) — ვ. ჩუგულევი („დინამო"). **60 კგ.** ხ. იბრაგიმოვმა („დინამო") — ი. ლიზიჩკა (უნგრეთი), ა. ხლოპუზიანმა („პროფკავშირები") — ვ. ოსტროვსკი („შრომითი რეზერვები"). **63, 5 კგ.** ა. ელენოვმა („შრომითი რეზერვები") — ქ. ნატო (საფრანგეთი), ქ. კოტოიანმა („დინამო") — დ. ტურკენიჩი („პროფკავშირები"). **67 კგ.** ნ. სტოიანოვმა (ბულგარეთი) — რ. არუთიუნიანი („შრომითი რეზერვები"), ა. კუვილიირმა (საფრანგეთი) — მ. ლაკომი (ჩეხოსლოვაკია), ი. ალიფირენკომ („პროფკავშირები") — რ. ბაშაროვი („შრომითი რეზერვები"). **71 კგ.** გ. ლიტვინოვმა („პროფკავშირები") — ვ. პოპტოლევი (ბულგარეთი), ი. აპაჩინსკიმ („შრომითი რეზერვები") — ა. შალოვი („დინამო"). **75 კგ.** ა. შეგლოვმა — ა. გუბატოვი (ორივე — „პროფკავშირები").

ასპარეზობა გრძელდება.

ვ. დანელია.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ხუანისა (კუბა) და რ. შოშიაშვილის (საქართველო) ორთაბრძოლა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

სხვადასხვა მერიდიანზე

სოფია. ოთხი მოსკოველი მოკრივე ასპარეზობდა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც „სოფიის რინგის" სახელწოდებით არის ცნობილი. ორმა მათგანმა ვ. გორბუნოვმა (71 კგ) და ა. მილოვმა (81 კგ) პირველი ადგილები დაიკავეს.

ბელგრადი. მსოფლიო ჩემპიონმა ა. იაგუბკინმა (91 კგ, დონეცკი) გაიმარჯვა იუგოსლავიის ქალაქ კრაგუევაცეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. პირველი ადგილი წილად ხვდა აგრეთვე დონეცკელ მოკრივეს, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ვ. მიროშნიჩენკოს (54 კგ). „ოქროს ხელთათმანების" ორი პრიზი — საუკეთესო უცხოელი სპორტსმენისა და საუკეთესო ტექნიკისთვის — საბჭოთა სპორტსმენებმა დაიმსახურეს.

ჰავანა. მოსკოველი ა. პეტროვი (60 კგ) ერთადერთი იყო ოთხი საბჭოთა სპორტსმენიდან, რომელმაც გაიმარჯვა კუბის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ვლადივოსტოკელი ა. აბდრახმანოვი (51 კგ) მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

ადგილებიდან გვატყობინებენ

გულგრილი ხელმძღვანელები

მიმდინარეობს ბათუმის მე-8 სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 18 სახეობა. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები 10 სახეობაში. ლიდერობს „განთიადი“. მომდევნო ადგილებზეა: „დინამო“, „სპარტაკი“, „ვოდნიკი“ და „ბურევესტნიკი“.

სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ ზრუნავს სპარტაკიადის მაღალ დონეზე წარმართვისთვის. მაგალითად, „ბურევესტნიკმა“ (საბჭოს თავმჯდომარე გ. კოზმოვი) ვერ მოახერხა მოცურავეთა, წყალბურთელთა, ნიჩბოსანთა, კალათბურთელთა და მოჭიდავეთა გუნდების გამოყვანა. „ვოდნიკმა“ (ვ. იორაშვილი) ვერ გამოიყვანა გუნდები მძლეოსნობაში, ქართულ ჭიდაობასა და კალათბურთში; „დინამომ“ (ჯ. ჭანტურია) — ნიჩბოსნობაში, ხელბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში, ხოლო „სპარტაკმა“ (ნ. ქორდანია) — წყალბურთში.

როგორც ჩანს, ამ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებს არ აინტერესებთ, თუ როგორ გამოდიან თავიანთი გუნდები სპარტაკიადაზე, რაკი არ ესწრებიან შეჯიბრებებს სპორტის იმ სახეობებშიც კი, რომლებშიც მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ქ. გუგუშვილი,
ბათუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

სპორტული ცაგერი

უყვართ სპორტი ცაგერის რაიონში. აქ იშვიათად თუ ნახავთ ცარიელ სპორტულ დარბაზს და მოედანს.

...ნოემბრის შუა რიცხვებში მოსწავლეთა შორის ჩატარდა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა სპორტსმენმა. სხვადასხვა წონით კატეგორიებში თავი ისახელეს ცაგერელებმა: მ. შკუბულიანმა და გ. ახვლედიანმა, ლაილაშელმა ბ. ლაშხმა, ჩხუტელებმა მ. კვირიკაშვილმა და გ დაშნიანმა.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია ამას წინათ ტყიბულში გამართულმა ასპარეზობამ მშთ-ს მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. აქ საუკეთესონი იყვნენ ცაგერელი სპორტსმენები, რომელთაგანაც გამოვყოფთ დარეჯან მეშველიანსა და ვალერი ჭაბუკიანს.

* * *

სექტემბერში ცაგერში დაიწყო რაიონის ტრადიციული პირველობა ფეხბურთში, რომელიც ერთი კვირის წინ დამთავრდა. შეჯიბრებაში 200-მდე ფეხბურთელი მონაწილეობდა. საუკეთესოდ გამოვიდა საკოლმეურნეო სამმართველოს საბჭოს გაერთიანებული კოლექტივი, რომელმაც დამაჯერებლად მოიპოვა პირველობა. საპრიზო ადგილები დაიკავეს აგრეთვე განათლების განყოფილებისა და საგზაო სამმართველოს კოლექტივებმა.

საინტერესო იყო ფეხბურთელთა ფინალური მატჩი „სიჭაბუკის თასზე“ ადგილობრივ „ხვამლისა“ და ამბროლაურის „რაჭის“ გუნდებს შორის. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა „ხვამლმა“. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ნახევარმცველებმა ბესიკ ყურაშვილმა, თავდამსხმელებმა კახა გოგიძემ და თამაზ შკუბულიანმა, მეკარე ზურაბ ხეცურიანმა.

* * *

სულ მალე ცაგერში გაიმართება კიდევ ერთი საინტერესო სპორტული ღონისძიება — ამხანაგური მატჩი ცაგერის, ლენტეხისა და ამბროლაურის მოჭიდავეთა მონაწილეობით.

ლ. ხეცურიანი.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

●

8 სახეობაში...

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა ცაგერის რაიონის პროფკავშირთა მე-14 რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 8 სახეობა იყო. შეჯიბრებებში 13 დარგობრივი პროფკავშირული ორგანიზაცია ჩაება. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა განათლების მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივმა, მეორე იყო ცაგერის № 91 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი, ხოლო მესამე— მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრები.

გ. ხვადაგიანი,
ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

გულთბილი შეხვედრა

გორელი ჭადრაკისმოყვარულები ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის სააქტო დარბაზში გულთბილად შეხვდნენ ცნობილ მოჭადრაკეებს — საერთაშორისო ოსტატსა და არბიტრს ნინა გრუშკოვა-ბელსკას (ჩეხოსლოვაკია) და დიდოსტატ მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი).

სტუმრებმა წაიკითხეს ლექციები: „ქალთა მსოფლიო პირველობა და ჩემი შეხვედრები ქართველ მოჭადრაკე ქალებთან“ და „ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის“.

ლექციების შემდეგ მ. ტაიმანოვმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 31 დაფაზე. 24 შეხვედრა მოიგო, 2 წააგო (მ. იოსებაშვილთან, ლ. ნადირაძესთან) და 5 ყაიმით დაამთავრა (ჯ. ინჯიასთან, რ. საიკაშვილთან, ვ. შუღლიაშვილთან, გ. ნადირაძესთან და ნინო ფილიშვილთან).

ო. დოლიძე.

მახარაძელთა წარმატება

სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა რესპუბლიკის ზონალური პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ მახარაძის, ტყიბულის, გეგეჭკორის, აბაშისა და სამტრედიის ნაკრები გუნდები.

გუნდურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა და მომავალი წლისთვის რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მახარაძის მეხანძრეთა კოლექტივმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში გ. კონტრიძე), II–III ადგილებზე გავიდნენ სამტრედიისა და გეგეჭკორის გუნდები.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს გ. ირემაშვილს (თბილისი). მან თქვა: ზონალური შეჯიბრება სახანძრო-გამოყენებით სპორტში ჩატარდა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ქებას იმსახურებს მახარაძის გუნდი, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა I ადგილი და მოიპოვა ის საგზური, რომელიც უფლებას აძლევს 1983 წელს საქართველოს პირველობაში მიიღოს მონაწილეობა. მეტს მოველოდით სამტრედიის გუნდისგან, რომელსაც შესანიშნავი სპორტული ბაზა და წვრთნის კარგი პირობები აქვს, მაგრამ რატომღაც ამჯერად სუსტად გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებას თავი აარიდეს წყალტუბოელმა მეხანძრეებმა.

ი. ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი კორ.).

● ისინი სპორტმა დააკავშირა

„ანდრიანოვი — მედლების შემგროვებელი“

სათაურში გამოტანილი სიტყვები ხუთი წლის წინანდელ შვეიცარულ გაზეთ „სპორტიდანაა“ ამოღებული. ზუსტად, სხარტად და მართებულად დაუხასიათებია ჩვენი სახელოვანი ტანმოვარჯიშე უცხოელ ჟურნალისტს...

სწორედ ეს ეპითეტი გავიხსენე ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან, მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონთან, მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნიკოლოზ ანდრიანოვთან საუბარში.

● „მედლების შემგროვებელი...“ — რას იტყვით ამგვარ გამოთქმაზე?

— გგონიათ შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს? სრულებითაც არა, ოღონდ უფრო ზუსტი იქნებოდა, ალბათ, „მედლების მომპოვებელი“, რადგან თითოეული ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს ჯილდო სპორტსმენისაგან საკმაოდ დიდ ფიზიკურ შრომასა და ნერვიული ენერგიის დახარჯვას მოითხოვს.

...ნიკოლოზ ანდრიანოვი ტანვარჯიშში დღევანდელი თვალსაზრისით ცოტა არ იყოს დაგვიანებით — 12 წლისა მივიდა. და თუ მივიდა, ამაში „დამნაშავე“ ქენკა სკურლოვი იყო — კოლკას ერთგული მეგობარი. იგი უკვე კარგა ხანია დადიოდა ტანვარჯიშის სექციაში და ახლა ქერათმიანი ონავარი — ანდრიანოვიც წარუდგინა თავის მწვრთნელს ნიკოლოზ ტოლკაჩოვს. გამოცდილმა სპეციალისტმა თავდაპირველად ახალბედას ფიზიკური მონაცემები შეამოწმა (ანდრიანოვი ამ მხრივ მშვიდად იყო: ზაფხულობით ფეხბურთს თამაშობდა, ზამთრობით კი — ჰოკეის) და მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა: ივარგებს! აბა რა იცოდნენ მან და განსაკუთრებით ქენკამ, რომ ვლადიმირელი ნიკოლოზ ანდრიანოვი თავის დროზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე გახდებოდა, „ბეჭებზე დადებდა“ ყველა სახელმოხვეჭილ იაპონელ, უნგრელ თუ ამერიკელ ოსტატებს. მანამდე კი პატარა კოლია, რომელსაც იმხანად ერთდროულად სამი კერპი ჰყავდა — ბორის შახლინი, ალბერტ აზარიანი და იური ტიტოვი — გულმოდგინედ შეუდგა ტანვარჯიშის ანბანის შესწავლას. 1967 წელს ანდრიანოვი სპორტის ოსტატი გახდა. მომდევნო წელს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს, კიდევ ორი წლის შემდეგ კი მოხვდა ქვეყნის მთავარ გუნდში, რომელშიც იმხანად გამოდიოდნენ შეუდარებელი მიხეილ ვორონინი, სერგეი დიომიდოვი და ვიქტორ ლისიცკი.

1971 წელს ევროპის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობას ესპანეთის დედაქალაქი მასპინძლობდა. ჩვენს ნაკრებში ახალბედა ნიკოლოზ ანდრიანოვიც გამოდიოდა და, უნდა ითქვას, წარმატებით. მადრიდის სპორტის სასახლეში მან ორ-ორი „ოქრო“, „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ მოიპოვა, და მრავალჭიდში მხოლოდ ვიქტორ კლიმენკოსა და მიხეილ ვორონინს ჩამორჩა.

მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები იაპონელ ტანმოვარჯიშეთა სრული ტრიუმფით დამთავრდა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულთა საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს. ანდრიანოვმა მიუნხენიდან 3 მედალი ჩამოიტანა: ოქროსი — თავისუფალ ვარჯიშში, ვერცხლისა — ხტომებში და ბრინჯაოსი — გუნდურ ჩათვლაში.

მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს იაპონელებმა მსოფლიოს 1974 წლის პირველობაზეც ვარნაში. იმჯერად ჩვენი ათლეტების დაჯაბნა შეძლო მხოლოდ სიგერუ კასამაცუმ, რომელმაც სულ ცოტათი აჯობა ანდრიანოვს.

თუ მელბურნის ოლიმპიადა ჟურნალისტებმა „ვლადიმერ კუცის ოლიმპიადად“ მონათლეს, მონრეალის ოლიმპიადას, ალბათ, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია „ნიკოლოზ ანდრიანოვის თამაშები“ ვუწოდოთ. თვითონ განსაჯეთ: ჩვენი ტანვარჯიშის იმ დროისათვის უკვე აღიარებულმა ლიდერმა კანადის ამ ქალაქში 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მალე ანდრიანოვმა თავის ნადავლს მსოფლიოს თასიც (რომელსაც ორგზის ფლობდა) დაუმატა, ხოლო 1978 წელს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

— მოსკოვის ოლიმპიადაზე უკანასკნელად გამოვედი სარბიელზე. რა დასამალია, მრავალჭიდში მეორედ მინდოდა მომეპოვებინა დიდი ოქროს მედალი, მაგრამ ჩემზე უკეთესი ალექსანდრე დიტიატინი გამოდგა. რას იზამ, იმარჯვებს ახალგაზრდობა, იმარჯვებს ახალი. ამაშია სპორტის ძლიერება, თუ გნებავთ, მისი ლოგიკა და სილამაზე. კაცმა რომ თქვას, არც ვერცხლის მედალია ურიგო, მით უფრო, რომ ესტაფეტა საიმედო ხელმა მიიღო.

● ცხადია, ტანვარჯიშთან თქვენ ვერასოდეს გაწყვეტთ კავშირს...

— ...ვერც წარმომიდგენია. მოსკოვის ოლიმპიადიდან დაბრუნებულმა მშობლიურ ვლადიმირში ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში დავიწყე მწვრთნელობა ჩემს მეუღლესთან — ოლიმპიურ და მსოფლიო ექს-ჩემპიონ, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლიუბოვ ბურდასთან ერთად.

იგი ძირითადად გოგონებს ავარჯიშებს.

● როგორაა თქვენი პატარა სერიოჟა, ამ ფოტოსურათზე ასე მადიანად რომ „შეექცევა“ მამისეულ ოქროს ოლიმპიურ მედალს?

— ო, ეს ბუკლეტი 5 წლის წინათ გამოვიდა. სერიოჟა უკვე დიდია — 8 წლისაა და წელიწადია ვარჯიშობს ჩემს მეორე მწვრთნელთან ვლადიმერ ბისევთან. მის ნიჭზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ისე კი, ამბობს, მამას მინდა ვგავდეო!... სერიოჟას პატარა ძმაც ჰყავს — 3 წლის ვლადიმერი. ალბათ თავის დროზე ისიც ტანმოვარჯიშე გახდება — აბა „სხვა რა გზა აქვს?“.

● ქალაქი ვლადიმირი, რომელიც იმთავითვე თავისი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით იყო ცნობილი, მგონი, ტანვარჯიშის ცენტრიც ხდება?...

... — მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს ახლანდელი აბსოლუტური ჩემპიონი იური კოროლიოვიც (მწვრთნელი ალექსანდრე ფიოდოროვი) ვლადიმირელია. ჩვენს ქალაქში კიდევ ერთი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე იზრდება. ესაა მწვრთნელ ვიქტორ ფირსოვის აღსაზრდელი, 18 წლის ვლადიმერ არტიომოვი — III საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი.

● თბილისის XIII ახალგაზრდულმა პირველობამ გამოავლინა თუ არა ნიჭიერი ტანმოვარჯიშეები?

— ეს შეჯიბრება ჩვენი ოლიმპიური იმედების, საბჭოთა ტანვარჯიშის რეზერვის საუკეთესო შემოწმებად უნდა ჩაითვალოს: სწორედ ამ კუთხით — მომავალ ოლიმპიადებისათვის მზადების თვალსაზრისით ვაფასებდით მას მწვრთნელები, სპეციალისტები. დავასახელებ რამდენიმე სახელს: ოსტატები: კოკორინი, გევორქიანი, სიტნიკი; კანდიდატები მოგილნი, ბერიანიძე; პირველთანრიგოსნები: ჩხიკვაძე, გოლევი. მომხიბლა თქვენმა სპორტის სასახლემ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მეგონა თბილისში (აქ მე პირველად ჩამოვედი) ტანვარჯიშს დღეს ასე ცოტა თაყვანისმცემელი თუ ჰყავდა. ამას ქართული ტანვარჯიშის დონის ერთგვარი დაცემით ვხსნი.

● სიტყვამ მოიტანა და რა გაკავშირებთ ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებთან?

— დიდი მეგობრობა. კარგად ვიცნობ ნინო დრონოვასა და რუსიკო სიხარულიძეს — მომხიბლავი, კეთილი გოგონები არიან. განსაკუთრებით მომწონდა მათი თავისუფალი ვარჯიში. ბევრჯერ გამოვსულვარ თქვენს მიხეილ ბოგუსთან ერთად. იგი უფროსია და რჩევა-დარიგებას არ იშურებდა ჩემთვის. რაც შეეხება პაატა შამუგიას — ამ ნიჭიერ, თავმდაბალ სპორტსმენს — მე მასთან ერთად ხშირად ვყოფილვარ ნაკრების სხვადასხვა შეკრებაზე. პაატა მშვენივრად გამოდიოდა დიდ შეჯიბრებებზე, ხტომები ხომ პირდაპირ შეუდარებელი ჰქონდა: როდესაც მან მშობლიურ თბილისში საკავშირო თასი მოიპოვა, მართალია, ჩამოსვლა ვერ შევძელი, მაგრამ მოგვიანებით გულითადად მივულოცე ეს ბრწყინვალე გამარჯვება. ვისურვებდი, რომ ტანვარჯიშის ქართულ სკოლას კიდევ გაეზარდოს პაატასნაირი ოსტატები.

● გვაინტერესებს თქვენი აზრი მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ ტურნირზე...

— კონკრეტულად ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა ძირითადად საბჭოთა კავშირის, იაპონიისა და ჩინეთის ტანვარჯიშულ სკოლებს შორის წარიმართება. ჩემი აზრით, სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან მთავარი ფავორიტები გუნდურ თუ პირად ჩათვლაში.

● ბოლოს ერთი დელიკატური შეკითხვა: თქვენ გარეგნულად ძალიან ჰგავხართ პოპულარულ მსახიობს ანდრეი მირონოვს. თუ გრძნობთ ამას?

— ჰმ, „ვგრძნობ“... ამ მსგავსებამ ბევრჯერ ჩამაგდო კურიოზულ სიტუაციაში. ერთ ქალაქში შეჯიბრებაზე ჩასულს სასტუმროში თურმე კარგა ხანს მელოდებოდა ადგილობრივი ჟურნალისტი — სურდა ინტერვიუ აეღო... ანდრეი მირონოვისაგან. აბა რას იფიქრებდა იგი, რომ „გასტროლიორი“ სატირის თეატრისაგან ძალიან შორს იდგა და სულ სხვა „თეატრის“ — ასე ვთქვათ, ტანვარჯიშული თეატრის წარმომადგენელი იყო!

სტუმარს ესაუბრებოდა
ო. ნოზაძე.

• • •



სურათებზე: ნ. ანდრიანოვი თბილისის სპორტის სასახლეში; ნიკოლოზ ანდრიანოვის ეს მეგობრული შარჟი სპორტის ოსტატმა ჯემალ კვანტალიანმა დახატა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ლანჩხუთის „გურიის" პრობლემები

I ლიგა

ამ დღეებში რედაქციაში გვესტუმრა ლანჩხუთის „გურიის" უფროსი მწვრთნელი, გამოჩენილი ფეხბურთელი, სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი მურთაზ ხურცილავა. ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით იგი „ლელოს" მკითხველებს მოუთხრობს თუ როგორ იასპარეზეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა წლეულს I ლიგაში, რა პრობლემებია გუნდის წინაშე, რა პერსპექტივები აქვს „გურიას" 1983 წლის სეზონისთვის.

— წლევანდელი სეზონი ჩვენი გუნდისთვის უაღრესად ძნელი იყო და პრობლემებიც საკმარისად გვქონდა. — თქვა მ. ხურცილავამ. — ლანჩხუთის რაიონი დიდი არაა, იქ ფეხბურთის ფართოდ დანერგვასა და, კერძოდ, „გურიის" შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს, სპორტის დიდ ამაგდარს ევგრაფი შევარდნაძეს, ხოლო უშუალოდ ფეხბურთელებთან წარმოებული პრაქტიკული საქმიანობით თავი გამოიჩინა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა შალვა კაკაბაძემ. ლანჩხუთის რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები, სპორტული ორგანიზაციები მუდამ დიდ ყურადღებას და დაინტერესებას იჩენდნენ და იჩენენ ფეხბურთისადმი და სწორედ ამიტომაა, რომ ამ პატარა რაიონულ ცენტრში არსებობს გუნდი, რომელიც პირველ ლიგაში ასპარეზობს. მე მგონია ეს საერთოდ უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით ლანჩხუთი უტოლდება ისეთ დიდ ქალაქებს, როგორებიცაა,. ლვოვი, რიგა, სიმფეროპოლი, ზაპოროჟიე, კიშინიოვი, დუშანბე, კიროვი, იაროსლავლი, ვორონეჟი. ეს დიდი მიღწევაა!

I ლიგის საკავშირო გათამაშება მეტად რთული, ხანგრძლივი და ავტორიტეტული შეჯიბრებაა. სხვადასხვა წლებში აქ გამოდიოდნენ, მაგრამ თამაშის უფლება ვერ შეინარჩუნეს ისეთი დიდი ქალაქების გუნდებმა, როგორებიცაა ივანოვო, რიაზანი, კალინინი, ჩელიაბინსკი, კუიბიშევი, სვერდლოვსკი, გორკი, პერმი, ომსკი, გომელი, ნოვოსიბირსკი, კიროვაბადი და მრავალი სხვა. გამოგიტყდებით, ყოველთვის მიკვირდა, რომ უკვე მესამე წელია ამ რთულ, დაძაბულ ტურნირზე გამოდის ლანჩხუთის „გურია", მაოცებდა თუ როგორ უმკლავდებოდა იგი ისეთ ძლიერ მეტოქეებს, როგორებიც არიან, თუნდაც, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი — ვოროშილოვგრადის „ზარია", თასის მფლობელები — მოსკოვის „ლოკომოტივი", როსტოვის არმიელთა გუნდი, ლვოვის „კარპატი".

მაგრამ მას შემდეგ, რაც ლანჩხუთში მიმიწვიეს და შემომთავაზეს „გურიის" ხელმძღვანელობა, როცა საკუთრივ ვნახე თუ რა სიყვარულით სარგებლობს ლანჩხუთის რაიონში ფეხბურთი, რა ინტერესს იჩენენ მის მიმართ გულშემატკივრები, დავრწმუნდი თუ რა შეუძლია მონდომებას და რა ნაყოფი მოაქვს საქმისადმი სიყვარულს, ენთუზიაზმს.

„გურიამ" 1979 წელს სავსებით ღირსეულად მოიპოვა პირველ ლიგაში თამაშის უფლება, შეღავათი მისთვის მაშინაც არავის გაუკეთებია და გუნდი ღირსეულად იბრძვის ძლიერ მეტოქეებთან, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის წარმატებაში, რათა რაიონის მშრომელებს შეუქმნას აქტიური დასვენებისა და გართობის დამსახურებული საშუალება.

ვინც კარგადაა ჩახედული საფეხბურთო საქმეებში, იცის, რომ „გურიაში" რამდენიმე მოწვეული ფეხბურთელია და ეს გასაგებიცაა. მოწვეული ფეხბურთელებით თამაშობენ კიევის „დინამო", მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", „ტორპედო", ხარკოვის „ლოკომოტივი", აგრეთვე, ბევრი სხვა გუნდი, რომ არაფერი ვთქვათ უცხოეთის მრავალ კლუბზე. ამიტომ გასაკვირი არაფერია, რომ ლანჩხუთს გარკვეულ პერიოდში ჭირდება გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელები. ჩვენ, მწვრთნელები, ახალგაზრდებს უმთავრესად ვეძებთ უშუალოდ ლანჩხუთის რაიონში, ვცდილობთ ვიპოვოთ და აღვზარდოთ პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც აქ მიიღებენ სათამაშო პრაქტიკას, საბრძოლო წრთობას და შემდეგ, მათგან საუკეთესოებს, შეარჩევენ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოსთვის". ამას გარდა, მე ხშირად ვესწრები ჭაბუკთა შეჯიბრებებს, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, მეორე ლიგის გუნდების კალენდარულ შეხვედრებს, ვეძებ ფეხბურთელებს ჩვენი გუნდისთვის. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ პერსპექტიულ მოთამაშეებს არც ისე ხშირად ვპოულობთ. მაგალითად, მეორე ლიგის გუნდების ერთ-ერთ მატჩზე თბილისში მხოლოდ ორი ფეხბურთელი შევათვალიერე, რომელთა მიწვევა შეიძლება პირველ ლიგაში.

ჩვენი ძირითადი საზრუნავი მუდამ იყო, არის და იქნება ის, რომ კვალიფიციური კადრები მივაწოდოთ უმაღლესი ლიგის გუნდებს. ეს მწვრთნელის უპირველესი მოვალეობაა. ჩემი აზრით, ლანჩხუთის „გურიაში" ახლა სამი ფეხბურთელია, რომლებსაც მალე შეეძლებათ ითამაშონ უმაღლეს ლიგაში, სწორედ მათზე გავამახვილებთ ყურადღებას, მათთან ვიმუშავებთ საგანგებო მონდომებით.

რახან სიტყვა უმაღლესი ლიგის გუნდების რეზერვებზე ჩამოვარდა, მინდა შევახსენო ფეხბურთის მოყვარულებს, რომ ლანჩხუთის რაიონიდან მოევლინენ დიდ ფეხბურთს ჩვენი ცნობილი ფეხბურთელები ი. დათუნაშვილი, რ. ურუშაძე, ზ. ებრალიძე, გ. იმნაძე, გ. თავაძე, ვ. ძიძიგური, ლანჩხუთმა სულ ახლახან მიაწოდა ქუთაისის „ტორპედოს" მ. მეგრელაძე, სათამაშო პრაქტიკა „გურიაში" მიიღო ამჯერად უკვე თბილისის „დინამოს" მეკარე მ. აბუსერიძემ.

ლანჩხუთის „გურია" სულ სამი წელია პირველ ლიგაში გამოდის, ეს დრო კი ძალიან ცოტაა მდიდარი ტრადიციებისა და გამოცდილების შესაძენად. ამას აუცილებლად უნდა დავუმატოთ ისიც, რომ პირადად მეც, როგორც მწვრთნელს, არსებითად ჯერ არა მაქვს პირველი ლიგის გუნდის ხელმძღვანელობის ისეთი გამოცდილება, როგორიც მეტოქეთა მწვრთნელებს. მეც ბევრი რამ მჭირდება პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამიტომ ჯერ კიდევ ვსწავლობ, ვუკვირდები, თუ როგორ ქმნიან ძლიერ კლუბებს სხვა, უფრო ხანდაზმული სპეციალისტები.

ამას წინათ საუბარი მქონდა კიევის „დინამოს" ცნობილ ფეხბურთელ ვ. კონკოვთან. მან შემომჩივლა, რომ ძალიან ძნელია მუშაობა პირველი ლიგის გუნდთან. ვ. კონკოვი სიმფეროპოლის „ტავრიას" ავარჯიშებს და სიმფეროპოლი პერიფერიულ ქალაქად მიაჩნია კიევთან შედარებით. ჩვენ ვისხედით „ტავრიის" სათადარიგო სტადიონზე, სადაც დუბლიორთა შეხვედრა მიმდინარეობდა. გამოგიტყდებით, შემშურდა ის პირობები, რომელშიც ვ. კონკოვი მუშაობს: ძირითადი და სათადარიგო სათამაშო მინდვრები, დახურული სპორტდარბაზი, საცურაო აუზი, აღდგენითი სამედიცინო ცენტრი და ა. შ. კონკოვი ბაზებს უჩიოდა, მე კი იმას ვფიქრობდი, ნეტავ ლანჩხუთში „ტავრიის" პირობების ნახევარი მაინც მოგვცა ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისათვის. ამით ერთხელ კიდევ მინდა გავუსვა ხაზი, რომ პირველ ლიგაში თამაში ძალიან ძნელია, მოითხოვს ძალების უკიდურეს დაძაბვას და მობილიზებას. მაინტერესებს, რას იტყოდა ზოგიერთი გულშემატკივარი, რეალურად რომ შეადაროს ასეთი დიდი ქალაქებისა და ჩვენი savarჯიშო პირობები, ისინი კი მოითხოვენ მხოლოდ გამარჯვებებს, მხოლოდ წარმატებებს.

მაგრამ მაყურებელი, ე. ი. გულშემატკივარი, როგორც იცით, ყოველთვის მართალია. ჩვენც ოპტიმისტები გვინდა ვიყოთ და ვუთხრათ ფეხბურთის მოყვარულებს, რომ საგაისოდ ბევრ ნაკლოვანებას გამოვასწორებთ და მიზნად დავისახავთ პირველ ათეულში მოხვედრას.

ამ ათეულში გასვლა წლევანდელ სეზონშიც გვქონდა დაგეგმილი. ერთ პერიოდში, კერძოდ, სექტემბრის დასაწყისში, 29-ე და 32-ე ტურებში ახლოსაც ვიყავით ამ მიზანთან, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო დავთმეთ პოზიციები და საბოლოოდ მე-19 ადგილი დავიკავეთ 22 გუნდს შორის. ამ მიზეზებს შორის უმთავრესია ის, რომ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ სრული შესაძლებლობით და მობილიზებით თამაში მეტოქეთა მინდვრებზე, ბევრ ქულას ვკარგავთ სტუმრად.

ლანჩხუთის „გურიას" საკმარისად ჰყავს გულშემატკივარი. მათი უმეტესობა მკაცრად მომთხოვნია და ხშირად დაუნდობელიც. ლანჩხუთელი მაყურებელი თავისი გუნდის ერთგულია, მხარში გვიდგას, მაგრამ ზოგიერთებს მეტისმეტი მოსდით ხოლმე. ასეთები გვაყვედრიან გასვლითი მატჩების წაგებას, არ სურთ გაითვალისწინონ ის არახელსაყრელი ვითარება, რომელიც ხშირად იქმნება ჩვენი გუნდის გარშემო.

გასაგებია, რომ საკუთარ მინდორზე, ლანჩხუთელ მაყურებელთა წინაშე ჩვენი გუნდი გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად. ასევე წარმატებით გამოდიან შინ სხვებიც, მაგრამ იშვიათი არაა, რომ ცალკეული გულშემატკივრები მეტისმეტად მოჭარბებულ ემოციებს ავლენენ და ხელშეწყობის, დახმარების ნაცვლად თამაშის დროს ათასგვარი წამოძახილით ხელს გვიშლიან ხოლმე. ჩვენი გუნდის ზოგიერთი ფეხბურთელი არც მალავს, რომ შინ თამაშს სტუმრად გამოსვლა ურჩევნია, მათ იქ არავინ ლანძღავს ტრიბუნებიდან.

შეიძლება ჩემი ეს სიტყვები უტაქტობაა, მაგრამ, ვიმეორებ, რომ ეს ეხება მხოლოდ იმ ერთეულებს, რომლებიც არხეინად მოკალათდებიან ხოლმე ტრიბუნაზე და არ დაგიდევენ იმას, რომ ფეხბურთელი მინდორზე გაცხარებულ ბრძოლაშია ჩაბმული, რომ მას ამ დროს ჭირდება დახმარება, მხარდაჭერა და არა უშვერი ლანძღვა-გინება. გაქექილს გატეხილი ჯობია და ვიტყვი: გულშემატკივრები ვალდებული არიან მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები შეგვიქმნან სტადიონზე, ჩვენ კი დღენიადაგ ვეცდებით გავამართლოთ მათი იმედები, საქმით ვუპასუხოთ მათს მოთხოვნებს.

1982 წლის საკავშირო ჩემპიონატის სამზადისი დავიწყეთ შარშან დეკემბერში, გამოვავლინეთ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი, რომელთა გარშემო უნდა შეგვექმნა კოლექტივი: ესენი იყვნენ თ. ჩხაიძე, ვ. კოპალეიშვილი, თ. ებანოიძე და მეკარე მ. აბუსერიძე. მკითხველმა ალბათ იცის, რომ „გურიიდან" ბოლო ხანებში სხვადასხვა მიზეზით წავიდნენ ძმები მეშკოვები, ვ. ტროიანი, ი. მანზიჩუკი, ნ. კვაჭანტირაძე, ა. დუდა, ა. ჯინჭარაძე, ბ. დანელია, ნ. ფრიდონიშვილი და მ. [illegible]კაშვილი; რაც შეეხება მ. მეგრელაძეს და ი. ნემსაძეს, [illegible]კუთრივ შევთავაზეთ ქუთაისის „ტორპედოს". მეორე წრის დასაწყისში „გურიაში" თბილისის „დინამოდან" მოვიდა გამოცდილი ფეხბურთელი რ. ჩელებაძე, რომელმაც საგრძნობლად გააძლიერა შეტევის ხაზი. ამ პერიოდში კოლექტივში გაჩნდა გამარჯვების რწმენა, განმტკიცდა სათამაშო დისციპლინა, ურთიერთგაგება და რვა ტური ისე ვითამაშეთ, რომ მატჩი არ წაგვიგია.

სწორედ ამ პერიოდში მოხდა გაუთვალისწინებელი ამბები. ერთ-ერთ მატჩში მინდვრიდან გააძევეს რ. ჩელებაძე, რომელსაც 10 თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია, ამას მოჰყვა ვ. კოპალეიშვილის სერიოზული ტრავმა, ეს ნახევარმცველი კი ჩვენი გუნდის სული და გულია. ამას გარდა, ლანჩხუთის „გურიის" შედეგებზე დიდად იმოქმედა მეკარე მ. აბუსერიძის გადაყვანამ თბილისის „დინამოში". მამუკა აბუსერიძე რომ პერსპექტიული მეკარეა და თავის სიტყვას იტყვის დიდ ფეხბურთში, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ისიც შემიძლია ვთქვა, რომ გუნდიდან მისი წასვლის შედეგად დავკარგეთ სულ ცოტა 5-6 ქულა.

ასეთი მძიმე დანაკლისი სხვა, უფრო გამოცდილ მწვრთნელსაც შეუშლიდა ხელს საქმის ნორმალურად წარმართვაში, მე კი პირველ ლიგაში მუშაობის სულ ერთი წლის გამოცდილება მაქვს და როცა გამოგვაკლდა ზედიზედ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, დროზე ვერ მივაგენი საშუალებას მომეწესრიგებინა „აწეწილი" საქმეები. ამ პერიოდში კოლექტივს დიდი შემწეობა გაუწიეს თემურ ჩხაიძემ, თემურ ებანოიძემ, ილია რუხაძემ და ახალგაზრდებმაც.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ლანჩხუთში იზრდებიან ფეხბურთელები, რომლებიც ადგილს იკავებენ რესპუბლიკის მაღალი კვალიფიკაციის გუნდებში, მაგრამ შესაფერისი მოთამაშეები ჭირდება „გურიასაც". ჩვენ დიდ შემწეობას გვიწევს საქართველოს სპორტკომიტეტი, მისი ფეხბურთის სამმართველო, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც არ მოგვაკლდება მათი ყურადღება, იმასაც ვიმედოვნებთ, რომ თუ მეორე ლიგაში და საქართველოს პირველობაზე არიან ჩვენთვის გამოსადეგი ფეხბურთელები, იქაური მწვრთნელები მათ შემოგვთავაზებენ „გურიაში" სათამაშოდ.

ახლა ჩვენში საფეხბურთო არდადეგებია. არ ვიცი, ვისა აქვს დრო დაისვენოს ამ პერიოდში, მწვრთნელებს კი გაცხარებული საქმიანობის პერიოდი გვიდგას: უნდა შევარჩიოთ ფეხბურთელები ჩვენი გუნდისთვის, თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შევთავაზოთ ჩვენი რეზერვები, ვიზრუნოთ საწვრთნელ ბაზებზე, სასწავლო-სამეცადინო პირობებზე და სხვ. ლანჩხუთის „გურიის" ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, წუთითაც არ შევანელოთ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ გავამართლოთ ლანჩხუთელი გულშემატკივრების, ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულთა იმედები.

გმირი მფრინავის ხსოვნისა

კომკავშირის გაგრის საქალაქო კომიტეტისა და განთიადის სადაბო საბჭოს ინიციატივით ლესელიძის სპორტული ბაზის საფეხბურთო მინდვრებზე ამას წინათ გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავის გერმანე კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის (1971-1972 წლებში დაბადებულნი). ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს დონის როსტოვის (2 გუნდი), კრასნოდარის, სოჭის, ადლერის, გაგრის, ბიჭვინთის, კოლხიდისა და განთიადის მოსწავლე ფეხბურთელებმა.

მონაწილე გუნდები დაიყვნენ 2 ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს განთიადის ნორჩმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი გ. მორგოშია), ხოლო მეორეში — ბიჭვინთელებმა (მწვრთნელი გ. იაშვილი).

ძალზე საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრა, სადაც წარმატება წილად ხვდათ განთიადელებს — 2:0. ბურთები გაიტანეს გადრანმა და არქანიამ.

ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ გ. კილასონიას სახელობის საპატიო თასი გამარჯვებულებს გადასცა გმირის შვილიშვილმა გ. კილასონიამ.

მთავარი პრიზის გარდა დაწესებული იყო სხვა ჯილდოებიც. მათი მფლობელები გახდნენ მ. არქანია (განთიადი), ა. სიდელნიკოვი (როსტოვი), ა. იაკუნინი (როსტოვი), ს. ლისენკო (კრასნოდარი), რ. ხელაია (განთიადი), გ. ნადარაია (ბიჭვინთა), მ. გიორბელიძე (კოლხიდა).

მრავალფეროვანი იყო მოსწავლე ფეხბურთელთა დასვენებისა და კულტურული გართობის პროგრამა. ბავშვებმა დაათვალიერეს გაგრის რაიონის ღირსშესანიშნაობანი, ნახეს გმირი მფრინავის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფილმი „ნორმანდია-ნემანი". ასპარეზობის ორგანიზატორებმა ბავშვებს კარგი მასპინძლობა გაუწიეს.

ზ. გოგორიშვილი,
ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: გამარჯვებული გუნდის კაპიტანს ვ. გადრანს გარდამავალ პრიზს გადასცემს გმირი მფრინავის შვილიშვილი გ. კილასონია; ტურნირში გამარჯვებული გუნდი — განთიადის „შავიზღვისპირელი".

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაევოს ოლიმპიური სამოსელი

— **1984 წლის** ოლიმპიური თამაშები სარაევოში იუგოსლაველი ხალხისთვის ნათელი ზეიმი იქნება, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „სარაევო-84“-ის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარემ, მომავალი თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა, ახმედ კარაბეგოვიჩმა, რომელიც სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა. — არა მარტო იმიტომ, რომ დათოვლილ ტრასებსა და ყინულის მოედნებზე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპორტსმენთა დაუვიწყარი შეხვედრები და დაძაბული შეჯიბრებები გაიმართება. ყოველი იუგოსლაველი თავს ვალდებულად თვლის გახდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე.

ოლიმპიადა-84-ის პირველ სტარტებამდე 14 თვით ადრე სარაევო პრაქტიკულად უკვე მზად არის სპორტსმენთა მისაღებად. 14 დეკემბერს მწყობრში ჩადგება ბოლო ოლიმპიური ობიექტი — სპორტის სასახლე „ზეტრა“. ამ დღეს აქ გაიხსნება იუნიორ ფიგურისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც მოსალოდნელია სოკ-ის პრეზიდენტის ხ.-ა. სამარანჩის დასწრება.

გარდა ამისა, წლევანდელ ზამთარში შეჯიბრებები გაიმართება სხვა ოლიმპიურ ობიექტზეც. სულ ნავარაუდევია 10 ტურნირის ჩატარება, რაც თავისებური „წინაოლიმპიური კვირეული“ იქნება.

კარაბეგოვიჩმა აღნიშნა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი თავის მუშაობაში ყოველმხრივ გამოიყენებს წინა ოლიმპიადების, განსაკუთრებით მოსკოვის ოლიმპიადის დადებით გამოცდილებას.

— ჩვენი სპეციალისტები და ექსპერტები, — თქვა მან, — ესწრებოდნენ ამ თამაშებს და ყურადღებით სწავლობდნენ საორგანიზაციო საკითხებს, ისინი მოგვიანებითაც არაერთხელ სწვევიან მოსკოვს და მუდამ მადლიერების გრძნობით, საბჭოთა მეგობრების მიერ მიცემული ძვირფასი რჩევებითა და რეკომენდაციებით დატვირთულნი დაბრუნებულან. ჩვენ ბევრი რამ ავიღეთ მოსკოვის ოლიმპიადის გამოცდილებიდან, კერძოდ თამაშების ტექნიკური ორგანიზაციის, სატრანსპორტო სამსახურის, კავშირგაბმულობის, კულტურული პროგრამის, შეჯიბრებათა ოქმების საკითხებში.

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან ამჟამინდელი შეხვედრის დროს განიხილეს 1984 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების სხვადასხვა ასპექტი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსკოვში „სარაევოს დღეებს“, რომელიც 18-22 დეკემბერს გაიმართება.

— ჩვენი მიზანია, — თქვა კარაბეგოვიჩმა, — გაგაცნოთ ჩვენი ქალაქის ისტორია, კულტურა, სპორტული ცხოვრება, თუ როგორ ემზადება იგი თეთრი ოლიმპიადისთვის.

— ჩვენ სავსებით კმაყოფილი ვართ ახლანდელი ვიზიტით, — თქვა ბოლოს ახმედ კარაბეგოვიჩმა. — სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან და სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლებთან ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის თაობაზე მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. (საკდესი).

ფეხბურთი მისი გატაცებაა

თბილისელი ინჟინერი იური ხატისოვი არასოდეს ყოფილა ფეხბურთელი, არც სპორტის სხვა სახეობაში გამოუჩენია თავი, მაგრამ ჩვენს ქალაქში მას ბევრი სპორტის მოყვარული და სპორტსმენი იცნობს, განსაკუთრებით ფეხბურთელები. იური ამ ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშის ერთგული ქომაგია და უკვე რამდენიმე წელიწადია აგროვებს ყველაფერს, რაც კი ფეხბურთს, და კერძოდ მის საყვარელ გუნდს თბილისის „დინამოს“ ეხება — სამკერდე ნიშნებს, ემბლემებს, ვიმპელებს, პროგრამებს, აფიშებს, ჟურნალებს, ბროშურებს, წიგნებს.

— ეს გატაცება 1974 წელს დაიწყო, როდესაც ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის ლამაზი ვიმპელი მაჩუქა, — გვიამბობს ი. ხატისოვი. — დღეს უკვე 400 ვიმპელი მაქვს, სულ ჩემს კოლექციაში ათასამდე ექსპონატია.

...მის ოთახში შეხვდებით „ლივერპულის“, „ბავარიას“, „სანტოსის“, „აიაქსის“, „რეალის“, „მილანის“, „ნაპოლის“, „ვალენსიას“ სამკერდე ნიშნებს, ვიმპელებს, ემბლემებს.

უნიკალური საფეხბურთო სუვენირების კოლექცია დღითი დღე იზრდება — ხატისოვს ხომ მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ათამდე ქვეყნის კოლექციონერებთან, ფეხბურთზე მასავით უზომოდ შეყვარებულ ადამიანებთან.

ხატისოვის ფოსტა განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა მას შემდეგ, რაც იურის გატაცების შესახებ დაიბეჭდა ჟურნალ „ფილატელია სსრ კავშირში“ და ჩეხოსლოვაკიურ სპორტულ ერთკვირეულ „შტარტში“. კორესპონდენტები თბილისელ კოლექციონერს თხოვენ მისწეროს ყველაფერი თბილისის „დინამოზე“, მისი მასალებით ხშირად სარგებლობენ საფეხბურთო პროგრამებისა და ცნობარების შემდგენლებიც.

— თქვენი ოჯახის წევრები წინ ხომ არ აღუდგნენ თქვენს გატაცებას?

— საბედნიეროდ, არა. ჩემი მეუღლე ალა და ქალიშვილი ლიანა თვითონაც კარგად ერკვევიან ფეხბურთში, უყვართ იგი და ყოველნაირად მიწყობენ ხელს კოლექციის გამდიდრებაში.

ო. გოლაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ი. ხატისოვი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ეცნობა ფეხბურთის მოყვარულთა მორიგ კორესპონდენციას.

პ. იუხანოვის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

მსოფლიო ჩემპიონის გეგმები

ნიუ-იორკი. ამერიკელმა ფიგურისტმა მსოფლიო ჩემპიონმა სკოტ ჰემილტონმა, რომელმაც გაიმარჯვა ახლახან ლეიკ-პლესიდში გამართულ შეჯიბრებაში, განაცხადა, რომ კიდევ ოთხ წელიწადს დარჩება სპორტში.

„მე 1986 წლამდე ვაპირებ სრიალს, — თქვა მან, — მაგრამ 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მივიღებ. მინდა სწავლას დავუბრუნდე, სპორტის ფსიქოლოგია შევისწავლო“.

ჰემილტონის ახალ პროგრამას ოვაციებით შეხვდნენ. „სამმაგი სალხოვის“ შესრულების დროს დაცემის მიუხედავად მან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

„ამ შეჯიბრებამ საშუალება მომცა ზოგიერთი ცვლილება შემეტანა პროგრამაში, — თქვა ჰემილტონმა. — მე იგი პირველად შევასრულე და არ ვიცოდი როგორ შეხვდებოდნენ მას მაყურებლები“. (საკდესი).

„პენიაროლის“ წარმატება

სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს „ლიბერტადორესის“ თასის გათამაშება, რომელმაც უნდა გამოავლინოს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ფეხბურთში.

გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „ფლამენგო“ და ურუგვაის „პენიაროლი“. პირველი მატჩი „პენიაროლს“ თავის მინდორზე მოგებული ჰქონდა, მაგრამ თვით კლუბსაც და მიმომხილველებსაც მიაჩნდათ, რომ „ფლამენგო“ აუცილებლად აიღებდა რევანშს.

ეს ვარაუდი არ გამართლდა, თუმცა „ფლამენგო“ თამაშობდა შინ, რიო-დე-ჟანეიროს ცნობილ „მარაკანაზე“. ურუგვაელებს ორ მატჩში საერთო წარმატების მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნიდათ, ამიტომ მათ საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვა და მხოლოდ ეპიზოდურად თუ გადადიოდნენ შეტევაზე. ამ შეტევებიდან ერთ-ერთი გოლით დამთავრდა, რომელიც 26-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა ჟაირმა (სხვათა შორის, ჟაირი ბრაზილიელია, მაგრამ საკმაო ხანია ურუგვაიში თამაშობს).

სამხრეთამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ „ფლამენგო“ მხოლოდ აჩრდილია იმ გუნდისა, რომელმაც შარშან საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ინგლისის „ლივერპული“, აშკარად არ იყო ფორმაში „ფლამენგოს“ წამყვანი ფეხბურთელი ზიკო, მატჩის დღეს განუწყვეტელი წვიმის შედეგად სათამაშო მინდორი ატალახდა და ბრაზილიელთა ტექნიკური უპირატესობა მინიმუმამდე დავიდა. „ფლამენგოს“ შემადგენლობაში ზიკოს გარდა თამაშობენ ცნობილი ფეხბურთელები ლეანდრო, ჟუნიორი, ადილიო, ტიტა და სხვები. მიუხედავად დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, ბრაზილიელებმა ვერ დაძლიეს „პენიაროლის“ დაცვის მედგარი წინააღმდეგობა.

როგორც საკდესი იუწყება, მატჩის მსვლელობისას ხშირად აღინიშნებოდა უხეშობა, „ფლამენგოს“ ფეხბურთელები აპელაციებით მიმართავდნენ მსაჯს და პენალტს მოითხოვდნენ, მაგრამ არბიტრი შეუვალი იყო.

ამრიგად, „ლიბერტადორესის“ თასს ახალი მფლობელი ჰყავს, ახალი მფლობელი ეყოლება საკონტინენტთაშორისო თასსაც.

დევისის თასზე

საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გაიმართა ჩოგბურთში დევისის თასის გათამაშების ფინალი. ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ჩოგბურთელები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:1. ამერიკელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ჯ. მაკინრომ. მისი ორთაბრძოლა ფრანგების ლიდერთან ი. ნოასთან ძალზე დაძაბულად წარიმართა. გამარჯვებისთვის მაკინროს 4 საათი და 18 წუთი დასჭირდა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 12:10, 1:6, 3:6, 6:2, 6:3. მანვე პ. ფლემინგთან დუეტში გადამწყვეტი მესამე ქულა მოიპოვა ფრანგების იმავე ნოასა და ა. ლეკონტის წინააღმდეგ 6:3, 6:4, 9:7. 19 წლის ლეკონტმა, რომელსაც საფრანგეთის ჩოგბურთის იმედს უწოდებენ, მხოლოდ მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ წააგო გამოცდილ ჯ. მაიერთან 2:6, 2:6, 9:7, 4:6. ბოლო ერთეულთა შეხვედრის ანგარიში მატჩის შედეგზე უკვე არ იმოქმედებდა (ნოა —მაიერი 6:1, 6:0, მაკინროი — ლეკონტი 6:2, 6:3).

ამრიგად, აშშ-ის ჩოგბურთელები ოცდამერვედ დაეუფლნენ დევისის თასს.

სპორტული დეკემბერი

1982 წლის ბოლო თვეს ჩვენს რესპუბლიკაში დაგეგმილია არაერთი საინტერესო სპორტული ასპარეზობა. აი მათგან ძირითადი ღონისძიებები:

1-5. **ლელო.** საქართველოს სსრ პირველობა საუწყებო სპარტაკიადის პროგრამით. ჩოხატაური.

1-6. **კალათბურთი.** საქართველოს სსრ შესარჩევი ტურნირი 1967-68 წ. წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ქიათურა.

1-27. **ჭადრაკი.** I ლიგის ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. თელავი.

2-5. **თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს სსრ პირველობა 1966-69 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. თბილისი.

7-12. **ხელბურთი.** ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. თბილისი.

7-13. **კალათბურთი.** საქართველოს სსრ შესარჩევი ტურნირი 1967-68 წ.წ. დაბადებულ გოგონათა შორის. ქიათურა.

8-12. **კრივი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი საუწყებო სპარტაკიადის პროგრამით. სოხუმი.

9-12. **მხატვრული ტანვარჯიში.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი მრავალჭიდში. ბათუმი.

16-19. **აკადემიური ნიჩბოსნობა.** ზამთრის საკავშირო შეჯიბრებები. ფოთი.

22-25. **სამთოსათხილამურო სპორტი.** საქართველოში ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ბაკურიანი.

22-26. **ფარიკაობა.** სსრ კავშირის თასი. თბილისი.

25-27. **სათხილამურო ორჭიდი.** რესპუბლიკაში ზამთრის სეზონის გახსნის შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ბაკურიანი.

26-29. **სათხილამურო რბოლები.** რესპუბლიკაში ზამთრის სეზონის გახსნის შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ბაკურიანი.

26-29. **ცურვა.** რესპუბლიკური შეჯიბრებები გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე. თბილისი.

ნალექი

ხმა მღაღადებლისა...

ინგლისელმა რადიოკომენტატორმა, რომელიც მოსკოვის „სპარტაკისა“ და „არსენალის“ მეორე, ლონდონში გამართულ მატჩს გადასცემდა, ასეთი შედარება გააკეთა: „კანონიერების“ (ასე უწოდებენ გულშემატკივრები „არსენალს“) მწვრთნელი ტერი ნეილი თავის ფეხბურთელებს თხოვს ძალ-ღონე არ დაზოგონ იმისთვის, რომ ხელთ იგდონ ინიციატივა. ეს კი ისეთივე ხმაა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, როგორიც, ვთქვათ სტადიონის დიქტორის განცხადება იმის შესახებ, რომ ყრუ ჯენტლმენი, რომელმაც დაკარგა სასმენი აპარატი, ნაპოვნ ნივთთა ბიუროში შემოვიდეს და წაიღოსო“.

უდიდესიდან სასაცილომდე?

ამ რამდენიმე წლის წინ სადაო არ იყო, რომ მსოფლიოში № 1 ჩოგბურთელი შვედი ბიორნ ბორგია. ჯონ მაკინროის შარშანდელმა და ჯიმი კონორსის წლევანდელმა წარმატებებმა სრულიად შეცვალეს ვითარება. ამას ისიც დაემატა, რომ ბორგი შედარებით ცოტას თამაშობს.

ამას წინათ ელექტრონული მანქანის გამოთვლის შედეგად № 1 ჩოგბურთელად მიიჩნიეს კონორსი (აშშ), მეორედ — ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), მესამედ— — მაკინროი (აშშ). ბორგი? ბორგი გავიდა... 88-ე ადგილზე.

„მატჩი“: „ადიდასი“ — „პუმა“

დასავლეთგერმანულმა ფირმამ „ადიდასმა“ პროტესტი განუცხადა გფრ-ის საფოსტო უწყებას. ფირმა ამტკიცებს, რომ ამას წინათ გამოშვებულ ერთ-ერთ მარკაში, თუ გამადიდებელი შუშით დავაკვირდებით, მორბენლის მაისურზე შეიძლება „პუმა“ წავიკითხოთ, ე. ი. გამოდის, რომ საფოსტო უწყება რეკლამას უწევს „ადიდასის“ კონკურენტ ფირმა „პუმას“.

თავის მხრივ, „პუმას“ წარმომადგენელმა „ადიდასს“ ბრალი დასდო უხეირო „სარეკლამო ილეთში“. ეს ფირმა ხომ პროტესტის ნიშნად ცდილობს რეკლამა გაუწიოს თავის მიერ დამზადებულ გამადიდებელ შუშებს. დიახ, „ადიდასი“ ასეთ შუშებსაც ამზადებს.

გოლი საკუთარ კარში

ბრაზილიის შტატ მინას ჟერაისში მასწავლებლების ჯგუფმა ცუდად დაიწყო კამპანია წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ: ისინი ფეხბურთის მატჩში შეხვდნენ წერა-კითხვის უცოდინრებს და დამარცხდნენ ანგარიშით 1:19.

„გმადლობთ, საჭირო არ არის“...

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა იტალიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელს ე. ბეარზოტს შესთავაზა ამიერიდან თქვენი სარეკლამო აგენტი გავხდებიო.

— გმადლობთ, საჭირო არ არის, — უპასუხა ბეარზოტმა. —ერთადერთი სარეკლამო აგენტი, რომელიც გვჭირდება, მხოლოდ ისაა, კარგად რომ ვითამაშოთ.

რედაქტორი ა. ბასილაია

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08570